სტუდენტების და კურსდამთავრებულების წარმატებები უნივერსიტეტის გარეთ

„პოსტერები, როგორც ინტერიერის დიზაინის განუყოფელი ნაწილი – “აუდიტორიუმის” ხედვა“

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტებმა მარიამ და ელენე ღვინფაძეებმა დაარსეს არქიტექტურული სტუდია: “აუდიტორიუმი”

ეს არის ონლაინ სივრცე, სადაც გარდა თავიანთი არქიტექტურული ნამუშევრებისა გამოაქვეყნებენ სხვადასხვა საინტერესო და ინფორმატიულ ნამუშევრებს.

ՄՆԱՑԵՔ ԱՌՈՒՆ
STAYHOME
Auditorium

Auditorium

Homr.is აღინიშნა, რომ „აუდიტორიუმის“ დამმაარსებლების აზრით, პოსტერის მნიშვნელობა საცხოვრებელ თუ საზოგადოებრივ სივრცეებში საინტერესო ფენომენია და საკმაოდ კარგი საშუალებაა ვიზუალური კომუნიკაციისთვის. სხვადასხვა შინაარსის ილუსტრაცია ინტერიერის მნიშვნელოვან დეტალად შეიძლება იქცეს და მისცეს მას რადიკალურად განსხვავებული ხასიათი. „აუდიტორიუმის“ მიერ შექმნილი პოსტერები ძირითადად სხვადასხვა თემატიკისაა, მაგალითად 2019 წელს შექმნილი პოსტერი „ის აქ არის“ შეიქმნა გია ყანჩელის ხსოვნის პატივსაცემად, ძალიან სპონტანურად, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ბევრი ადამიანის ინტერიერის ნაწილი გახდა.

დეტალურად მათი მოღვაწეობის შესახებ შეგიძლიათ გეცნოთ ლინკზე გადასვლით;

https://www.homeis.ge/auditorium-posterproject/?fbclid=IwAR27WJvrz1BA4lrLx0b42OTtW9Nym33MXxYdES87Xshd-2WFTCRaPs65btY

წარმატებული კურსდამთავრებული

რუბრიკა „წარმატებული კურსდამთავრებული“ წარმოგიდგენთ არქიტექტორ თამარ სვანაძეს.

7.01.2021.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა თათა სვანაძემ 2020 წელს დაარსა საკუთარი ინტერიერის დიზაინის სტუდია „FORMS“. სტუდიის მოღვაწეობა გააშუქა ბიზნესკვირეულმა: „Studio Forms Creates New Design of Lamps“ და home is. გამოცემებში ნათქვამია, რომ „სტუდიას, ეს არის “საგნებით შექმნილი ისტორია” (making history through objects). საკუთარი დიზაინის სტილს ისინი ახასიათებენ როგორც მოდერნს და მინიმალიზმს.

https://www.facebook.com/FORMS-102392418296811